



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 190

თბილისი


15. 03 2010წ.

ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2010-2011 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების, სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის №1030 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დადგინდეს ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2010-2011 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის რეგისტრაციის ვადა 2010 წლის 15 მარტიდან 2010 წლის 25 მარტის ჩათვლით.
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).



დირექტორი შაშკინი

*(Handwritten signature)*